ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №229616

ნომერი: AR158551

თარიღი : 13.06.2012

გაცემის თარიღი : 26.06.2012

გაცნობის თარიღი : 24.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაგრის , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის2011 წლის 07 დეკემბრის #1820 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს2012 წლის 13 ივნისს #AR158551 განცხადებით მომართა მოქ. ირაკლი ბარნაბიშვილმა და მოითხოვა სამსახურის მიერ2011 წლის 07 დეკემბერს გამოცემული#1820 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: #1 შენიშვნის ჩამოყალიბება მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ2011 წლის 07 დეკემბერს ქ. თბილისში, გლდანი–ნაძალადევის რაიონში, გაგრის ქუჩა #7–ში (ნაკვეთი#003/051) არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით გაიცა #1820 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, რომელშიც #1 შენიშვნის სახით ჩაიწერა „ვიანიდან აღნიშნული

მიწის ნაკვეთი დღევანდელი მდგომარეობით მდებარეობს სამრეწველო ზონა 2–ში (ს–2), საკრებულოს დადებითი გადაწყვეტილების შემდგომ ზონა შეიცვლება სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ად, სადაც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნას მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას".

საკრებულოს დადებითი გადაწყვეტილებით საპროექტო ტექრიტორია დღეის მდგომარეობით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1–ში და შესაბამისად, #1 შეინიშვნაში მოცემული დათქმა ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით აზრს კარგავს. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ნებართვის მფლობელი ვალდებულია სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და ამ დადგენილების 33-ე მუხჰლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, მათშორის – საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება07.12.2011წ. #1820 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში მოცემულ #1 შენიშვნაში, კერძოდ: ამოღებული იქნას დათქმა ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით და პროექტის შეთანხმების სტადიაზე შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის ვალდებულების ნაცვლად ჩაიწეროს, რომ ნებართვის მფლობელი ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 07 დეკემბრის #1820 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: შენიშვნა #1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით – ,,ნებართვის მფლობელი ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას";

2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 07 დეკემბრის #1820 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.